საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N24/04/02 2024 წლის 24 აპრილი ქ.თბილისი

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიის შემადგენლობის

დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს სახელმწიფო პრემიების გაცემის მიზნით კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 17 იანვრის N27 ბრძანებულებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მინიჭების ღონისძიებათა უზრუნველყოფის, კონკურსის გამოცხადების, განაცხადების მიღებისა და განხილვის, პრემიის ლაურეატთა გამოვლენის მიზნით, შეიქმნას ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისია (შემდეგში - კომისია) და დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

ზაზა აბზიანიძე	-	კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, კომისიის თავმჯდომარე
გიორგი ლობჟანიძე	-	პოეტი, მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე
როსტომ ჩხეიძე	-	მწერალი
ეთერ თათარაიძე	-	პოეტი-ფოლკლორისტი
ბელა წიფურია	-	ლიტერატურათმცოდნე
ნუგეშა გაგნიძე	-	გერმანისტი, პოეტი, მთარგმნელი
ივანე ამირხანაშვილი	-	კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე
ლელა დუმბაძე	-	ანგლისტიკი, მთარგმნელი
მამუკა დოლიძე	-	პროზაიკოსი, ფილოსოფოსი.

2. კომისია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სალომე ზურაბიშვილი